მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზრო ფასების დინამიკას 2022 წლის **აგვისტოს** თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრარულ ბაზრებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოანგარიშებისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.

## აგვისტოს თვე / 2022

ეტიკეტირებულ ყველზე ფასი აგვისტოშიც შემცირდა, კერძოდ კი იმერული ყველი 3.7%-ით, ხოლო ქარხნული კი 0.8%-ით გაიაფდა. განსხვავებით ამ ორი ყველისა, სულგუნზე ფასებმა 1.7%-ით მოიმატა.

### ეტიკეტირებული ყველის ფასები სუპერმარკეტებში




## აგვისტოს თვე / 2022

### არაეტიკეტირებული ყველის ფასები აგრარულ ბაზარში




ხშირად ეტიკეტირებული და არაეტიკეტირებული ყველის ფასებს საწინააღმდეგო მიმართულების დინამიკა გააჩნიათ, რაც აგვისტოშიც შეინიშნება.

აგრარულ მარკეტებში ყველზე ფასებმა საგრძნობლად მოიმატა: იმერულსა და სულგუნზე 13%-ით, ხოლო ქარხნულზე კი 5%-ით.

## აგვისტოს თვე / 2022

საქართველოში მაწონზე საშოლო მაქსიმალური და მინიმალური ფასები შემცირდა კვლავ წონის შემცირების ხარჯზე. თუმცა, საშუალო შეწონილი ფასი ზრდას განაგრძნობს, განსაკუთრებით კი მთიან რეგიონებში.

### ეტიკეტირებული მაწვნის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ფასი



## აგვისტოს თვე / 2022

აგვისტოში აგრარულ ბაზრებზე საქონლის ხორცზე **ფასი უმნიშვნელოდ შემცირდა,** თუმცა **გაიზარდა** ქსელურ მარკეტებში. აღსანიშნავია, რომ ფასთა ცვლილება ყველა პროდუქტზე მარკეტის მიხედვით საპირისპირო ნიშნისაა.

### ეტიკეტირებული

| | | |
|---|---|---|
| საქონლის არტალა | -0.7 % ↘ | 13.7 ₾ |
| საქონლის ძვლიანი | 2.2 % ↗ | 20.8 ₾ |
| საქონლის რბილი | 4.6 % ↗ | 26.5 ₾ |
| ხბოს ძვლიანი | 5.3 % ↗ | 20.0 ₾ |
| ხბოს რბილი | -2.0 % ↘ | 29.9 ₾ |

### არაეტიკეტირებული ≈

| | | |
|---|---|---|
| საქონლის არტალა | 1.1 % ↗ | 10.9 ₾ |
| საქონლის ძვლიანი | -3.0 % ↘ | 16.9 ₾ |
| საქონლის რბილი | -5.0 % ↘ | 19.6 ₾ |
| ხბოს ძვლიანი | -1.4 % ↘ | 18.9 ₾ |
| ხბოს რბილი | 2.5 % ↗ | 20.3 ₾ |

## აგვისტოს თვე / 2022

აგვისტოში ნედლი რძის საშუალო ფასი **7 თეთრით გაიზარდა და 1.62 ლარს მიაღწია.** ივლისისგან განსხვავებით, ფასის ყველაზე დიდი სხვაობა მთიან რეგიონში დაფიქსირდა, კერძოდ კი სამეგრელო-ზემო სვანეთში **ფასის 50%-იანი ზრდაც კი შეინიშნება.** სექტემბერში მოსალოდნელია ფასის მატების აჩქარება.

**1 ლ. ნედლი რძის** საშუალო სარეალიზაციო ფასები რეგიონების მიხედვით




## აგვისტოს თვე / 2022

**აგვისტოში საქონლის საკვების ფასები მაღალი ცვალებადობით გამოირჩევა.** ფასები სილოსსა და იონჯაზე საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო თივა, სიმინდი, სოიოს შროტი და ქატო გაიაფდა. აღსანიშნავია, რომ **სხვა პროდუქტებზე ფასები საგრძნობლად არ შეცვლილა.**

| პროდუქტი | ფასი | ცვლილება |
|---|---|---|
| სილოსი | 0.38 ₾ | 8.6 % ↗ |
| თივა | 0.38 ₾ | -5.0 % ↘ |
| იონჯა | 0.59 ₾ | 18.2 ₾ ↗ |
| ქერი | 1.0 ₾ | 0.0 % ≈ |
| სიმინდი | 1.1 ₾ | -8.3 % ↘ |
| ხორბალი | 1.1 ₾ | 0.0 % ≈ |
| სოიოს შროტი | 2.5 ₾ | -4.6 % ↘ |
| მზესუმზირის შროტი | 1.8 ₾ | 0.0 % ≈ |
| ქატო | 1.03 ₾ | -17.6 % ↘ |
| ცხოველის მზა საკვები | 1.71 ₾ | 0.0 % ≈ |



ფასების მონიტორინგი ხდება აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს Land O'Lakes Venture37 საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით.